United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

UNESCO Associated Schools

მზადება კლიმატის ცვლილებისათვის

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

სახელმძღვანელო სკოლებისათვის

Education 2030

მადლიერების გამოხატვა

მადლიერებას გამოვხატავთ იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს წინამდებარე სახელმძღვანელოს - "მზადება კლიმატის ცვლილებისათვის - კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება - სახელმძღვანელო სკოლებისთვის" შემუშავებაში. კონკრეტულად, მადლობას ვუხდით გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) ეროვნულ კოორდინატორებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სემინარში „მზადება კლიმატის ცვლილებისათვის: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წევრი სკოლების რეაგირება კლიმატის ცვლილებაზე (საფრანგეთი, პარიზი, 2015 წლის 7-8 დეკემბერი) და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) თანამშრომლებს - გუანგ-ჩოლ ჩანგს, დენის გორფინკიელს, კორნელია გუსესა და უშიო მიურას - რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს წინამდებარე სახელმძღვანელოს შინაარსის დახვეწაში და აწარმოეს სახელმძღვანელოს რეცენზირება.

ავტორი: ნატალი გიბი

კოორდინატორები: ჯულია ჰეისი - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მდგრადი განვითარებისათვის განათლების განყოფილება, და საბინე დეტზელი - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) საერთაშორისო კოორდინატორი

რედაქტორი: კესი ნოლანი

გრაფიკული დიზაინი: აურელია მაზოიერი (ყდის დიზაინი), ანნა მორტრექსი

წინამდებარე დოკუმენტში შესული რეკომენდაციები და საილუსტრაციო მაგალითები ეფუძნება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების ინიციატივაში ჩართული, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) გამოცდილების კვლევას. ავტორი მადლობას უხდის ლივია სალდარის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მდგრადი განვითარებისათვის განათლების განყოფილების წარმომადგენელს, კვლევისთვის კითხვარის შემუშავებისა და კვლევის ადმინისტრირებისათვის. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წარმომადგენლები ბრაზილიაში, დანიაში, დომინიკის რესპუბლიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, ინდონეზიაში, იაპონიაში, ლიბანში, ნამიბიაში, ომანში, სენეგალსა და კოტ-დ'ივუარში, საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და წინამდებარე სახლემძღვანელოს შექმნაში შეტანილი წვლილისთვის.

სარჩევი

ნაწილი 1 შესავალი.....

ერთიანი სასკოლო მიდგომა, კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებისათვის.....

სახელმძღვანელოს მოკლე მიმოხილვა.....

ნაწილი 2 ბუნების მეგობარი სკოლა.....

მდგრადი განვითარების სასკოლო კულტურის შექმნა.....

ყველას აქვს საკუთარი როლი.....

დაგეგმვა, მოქმედება და გაანალიზება.....

ნაწილი 3 სამოქმედო სფეროები.....

სკოლის მმართველობა.....

რეკომენდაცია # 1 კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა.....

სწავლება და სწავლა.....

რეკომენდაცია # 2 კლიმატის ცვლილების სწავლების ჩართვა ყველა სასწავლო საგანში.....

რეკომენდაცია # 3 კრიტიკული, შემოქმედებითი და პერსპექტიული აზროვნების განვითარება.....

რეკომენდაცია # 4 მოსწავლეების წახალისება ღონისძიებების გახორციელებაში მონაწილეობის მისაღებად.....

საშუალებები და ღონისძიებები.....

რეკომენდაცია # 5 აქციეთ თქვენი სკოლა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების ფლაგმანად.....

საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა.....

რეკომენდაცია # 6 საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა სწავლებისა და სწავლის სამსახურში.....

ნაწილი 4 მიღწევების მონიტორინგი.....

განმარტებები და შენიშვნები.....

შესავალი

კლიმატის ცვლილება უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. კვლევებმა და საზოგადოებათა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კლიმატის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ადამიანების საცხოვრებელ ადგილებზე, საკვებზე, ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და მათ ჯანმრთელობაზე. კლიმატის ცვლილება ბევრ გლობალურ საკითხს უკავშირდება. მაგალითად, კლიმატის ცვლილება კავშირშია უთანასწორობასა და ეთიკის საკითხებთან, რადგან განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ყველაზე ნაკლებ პასუხისმგებელი არიან კლიმატის ცვლილებაზე, ყველაზე მწვავედ დგანან მის ზეგავლენის რისკის წინაშე. კლიმატის ცვლილება გენდერულ თანასწორობასაც უკავშირდება, ვინაიდან, ბევრ ქვეყანაში, ქალები და გოგონები უფრო მეტად დაუცველი არიან მისი ზეგავლენის წინაშე, ვიდრე მამაკაცები. ამავე დროს, ისინი უფრო აქტიურობენ და ცდილობენ ეფექტური ზომები მიიღონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის შესაჩერებლად.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „Global Goals“-ის [გლობალური მიზნები] ვებ-გვერდზე: http://www.globalgoals.org/

2015 წლის სექტემბერში, მსოფლიო ლიდერებმა დაამტკიცეს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც მოიცავს 2030 წლისათვის გასახორციელებელ 17 მიზანს, რომლებიც ეხება საერთო გამოწვევებს, როგორც გლობალურ დონეზე, ასევე ეროვნულ დონეზე. 2030 წლის დღის წესრიგი მოიცავს ერთ კონკრეტულ მიზანს, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას (მიზანი 13) და რომელიც ფორმალურად აღიარებს, რომ ეკოლოგიური კრიზისი უშუალოდ უკავშირდება ბევრ სხვა გლობალურ საკითხს. გარდა ამისა, მიზანი # 13 - კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება და მიზანი # 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა - აღიარებს მდგრადი განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და განათლების როლს კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ძალისხმევაში.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ერთობლივი ძალისხმევა - უფრო ძლიერი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით, უფრო მეტი ფინანსური რესურსებით და მწვანე ტექნოლოგიების მხარდაჭერით - მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შესამცირებლად, კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება იწყება თითოეულ ჩვენგანიდან, იმით თუ როგორ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, ჩვენი დამოკიდებულებებით და ქცევებით. მთელ მსოფლიოში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის წარმოადგენს კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ქვაკუთხედს. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ჩვენგანს საკუთარი წვლილი შეუძლია შეიტანოს გლობალური გამოწვევების მოგვარებაში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის ხელს უწყობს იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამყარებას, რომლებიც გვჭირდება ჯანმრთელი, სამართლიანი, ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების შენებისათვის.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის და კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

კლიმატის ცვლილების შორსმიმავალი, გლობალური შედეგები ცხადყოფს იმას, რომ განათლება მდგრადი განვითარებისათვის უნდა მოიცავდეს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მკაცრი და გადაუდებელი ზომების გატარების კომპონენტს. სკოლებს უმთავრესი როლი აკისრიათ მოსწავლეების მიერ კლიმატის ცვლილების მიზეზების გაცნობიერების საქმეში, რაც დაეხმარება მათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, გადადგან შესაბამისი ნაბიჯები და შეიძინონ ღირებულებები და უნარები, რომლებიც მათთვის საჭიროა რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ უფრო მდგრადი ცხოვრების სტილის, მწვანე ეკონომიკისა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი საზოგადოების შენების საქმეში[i].

ერთიანი სასკოლო მიდგომა, კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებისათვის

მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი სკოლა ირჩევს ერთიან სასკოლო მიდგომას კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მიმართულებით. ერთიანი სასკოლო მიდგომა გულისხმობს იმას, რომ საკლასო გარემოში მოსწავლეების მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ათვისებული ცოდნის გამყარება წარმოებს იმ ფორმალური თუ არაფორმალური გზავნილებით, რომლებსაც სკოლაში დამკვიდრებული ღირებულებები და სკოლის მიერ გახორციელებული ღონისძიებები შეიცავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეები - როგორც გოგონები, ასევე ვაჟები - და სკოლის საზოგადოების სხვა წევრები, პრაქტიკაში ახორციელებენ სკოლაში შეძენილ ცოდნას და ცოდნას იძენენ პრაქტიკული გამოცდილებით.

კლიმატის ცვლილებისადმი ერთიანი სასკოლო მიდგომა გულისხმობს იმას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ნებისმიერი მიმართულებით გატარებული ღონისძიებები მოიცავს ზომებს, რომლებიც ემსახურება კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირებას. აღნიშნული ეხება სკოლის მმართველობას, სასწავლო მასალების შინაარსსა და მათი სწავლების მეთოდოლოგიას, დაწესებულების საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების და მათი შემოგარენის მართვას, ასევე პარტნიორებთან და ფართო საზოგადოებასთან თანამშრომლობას. სკოლის როგორც შიდა ასევე გარე დაინტერესებულ მხარეთა, კონკრეტულად, მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის ხელმძღვანელების, სკოლის პერსონალის, ასევე სკოლის უფრო ფართო საზოგადოების წევრების, როგორიცაა მოსწავლეთა ოჯახებისა და ფართო საზოგადოების წევრების ჩართვა კლიმატის ცვლილების ზეგავლენასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისა და მათზე რეაგირების ძალისხმევაში უმნიშვნელოვანესია ერთიანი სასკოლო მიდგომის დანერგვის უზრუნველსაყოფად (მდგრადი სკოლის წოდება, 2016 წ.).

ხშირად, მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები წარმოადგენენ პირებს, რომლებიც სათავაში უდგანან სკოლაში ერთიანი სასკოლო მიდგომის დანერგვის მიზნით გახორციელებულ პროექტებს. თუმცა, როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოდან შეიტყობთ, ნებისმიერი პირი შესაძლებელია იყოს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების ინიციატორი, მათ შორის მასწავლებლები, სკოლის ხელმძღვანელები, მოსწავლეები, ადმინისტრატორები, სკოლის დაცვის თანამშრომლები თუ სხვა დამხმარე პერსონალი და სკოლის მოსწავლეთა ოჯახის წევრები. ფაქტობრივად, ერთიანი სასკოლო მიდგომის წარმატებით დანერგვა საჭიროებს სკოლის საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრის ჩართულობას. სკოლის მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების თანახმად, ერთიანი სასკოლო მიდგომა სარგებლის მომტანია როგორც სკოლისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის, კერძოდ:

- მოსწავლეები და სკოლის პეროსნალი თავს სკოლის სრულფასოვან წევრებად აღიქვამენ;
- მოსწავლეებისათვის სწავლის შესაძლებლობები უფრო ხელმისაწვდომია;
- მასწავლებლებისათვის იქმნება პროფესიული განვითარების ახალი შესაძლებლობები;
- სკოლები ახერხებენ ეკოლოგიური ნაკვალევის მნიშვნელოვნად შემცირებას;
- სკოლები ფინანსებს ზოგავენ, რესურსების ეფექტური მოხმარების საშუალებით;
- სკოლის შემოგარენი მეტად არის გამწვანებული და უფრო ლამაზია;
- სკოლებს აქვთ წვდომა სწავლებისათვის საჭირო რესურსებზე, იძენენ მნიშვნელოვან კომპეტენციებს და იღებენ ფინანსურ დახმარებას[ii].

სახელმძღვანელოს მოკლე მიმოხილვა

გსურთ შექმნათ უფრო ჯანმრთელი, სამართლიანი და ეკოლოგიურად უფრო მდგრადი საზოგადოება? გსურთ შეუქმნათ ბავშვებსა და ახალგაზრდებს მსგავსი საზოგადოების შენების შესაძლებლობა? გსურთ თქვენი სკოლა ბუნების მეგობარი გახდეს? თუ ამ კითხვებზე თქვენი პასუხი დადებითია, მაშინ წინამდებარე სახელმძღვანელო თქვენთვის არის განკუთვნილი!

წინამდებარე სახელმძღვანელო ოთხი ნაწილისაგან შედგება.

ნაწილში 1, რომელსაც ახლა ეცნობით, ახსნილია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ერთიანი სასკოლო მიდგომა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებისათვის. **ნაწილში 2** ახასნილია, თუ როგორ შეუძლია სკოლას დაგეგმოს, პრაქტიკაში დანერგოს და შეაფასოს ის სტრატეგიები და ხედვა, რომელიც კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირებას ემსახურება. **ნაწილში 3** შესულია ექვსი რეკომენდაცია, რომლებიც დაგეხმარებათ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გასატარებელი ზომები ჩართოთ სკოლის მმართველობის, სწავლებისა და სწავლის, სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მათი შემოგარენის მართვისა და საზოგადოებასთან პარტნიოული ურთიერთობების პროცესებში. რეკომენდაციებთან ერთად მოწოდებულია მაგალითები, რომლებშიც აღწერილია ის ღონისძიებები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნის სკოლები ატარებენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის შემცირების მიმართულებით. სახელმძღვანელოს ბოლო **ნაწილში 4**, მოცემულია ცხრილი, რომელიც დაგეხმარებათ აღნიშნული ექვსი რეკომენდაციის გათვალისწინებით გახორციელებული ღონისძიებების შედეგების მონიტორინგის გახორციელებაში.

როგორ შეიქმნა სახელმძღვანელოში შესული რეკომენდაციები

წინამდებარე სახელმძღვანელო და მასში მოყვანილი მაგალითები ეფუძნება კვლევას, რომელიც მოიცავს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების მიმართულებით 12 ქვეყნის 55 სკოლის მონაწილეობით გახორციელებულ პროექტებს. აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ყველა სკოლა წარმოადგენს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წევრს. დამატებით, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილია რეცენზირებად ჟურნალებში, სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული, ეროვნულ თუ საერთაშორისო გაიდლაინებსა და ჩარჩო დოკუმენტებში შესული და პროგრამათა ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მაგალითები და კვლევების შედეგები.

ძირითადი მოსაზრებები

ცოდნა და კეთილი ნება იშვიათად არის საკმარისი ერთიანი სასკოლო მიდგომის დანერგვისთვის. მსოფლიო მასშტაბით, სკოლების გამოცდილება აჩვენებს, რომ პროექტები, რომელთა მიზანსაც კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება წარმოადგენს, ყველაზე წარმატებულია იმ შემთხვევაში, თუ ადგილზეა შემდეგი ხელშემწყობი პირობები:

- სკოლის ხელმძღვანელი ფლობს საკმარის ცოდნას და პასუხისმგებლობით უდგება დასახულ მიზანს;
- შესაბამისად მომზადებული და შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მასწავლებლები და გარე ექსპერტების დახმარება;
- ფასილიტატორები, რომლებიც პროცესის მართვაზე იღებენ პასუხისმგებლობას;
- დამხმარე მასალები და სასწავლო რესურსები;
- ადეკვატური და გრძელვადიანი დაფინანსება[iii].

გაითვალისწინეთ!

ქსელები და საერთაშორისო ორგანიზაციები კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მიზნით წარმატებით გახორციელებული პროექტებისათვის საჭირო რესურსების მოზიდვის საშუალებას წარმოადგენს. ქვემოთ ჩამოთვლილი ქსელებიდან რომელი იქნება თქვენი სკოლისთვის საუკეთესო?

- გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელი (ASPnet) - ასოცირებული სკოლების ქსელი (ASPnet) წარმოადგენს გლობალურ ქსელს, რომელიც 181 ქვეყანაში არსებულ 10 000 სკოლას აერთიანებს; ქსელი მოწოდებულია პრაქტიკაში დანერგოს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ისეთი იდეალები, როგორიცაა მშვიდობა, საერთაშორისო ურთიერთგაგება, ინტერკულტურული დიალოგი და მდგრადი განვითარება, ინოვაციური საგანმანათლებლო კონტენტის შემუშავებით, სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვითა და მსოფლიო მასშტაბით თანამშრომლობის საშუალებით. აღნიშნული ქსელის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) ვებ-გვერდზე: http://www.unesco.org/new/en/education/networks/global-networks/aspnet/.
- ეკოსკოლები - ეკოსკოლებს ხელმძღვანელობს გარემოსდაცვითი განათლების ფონდი და იგი მოიცავს 58 ქვეყანაში არსებულ 48 000 სკოლას. ეკოსკოლების ქსელი სკოლებს, რომლებიც გარემოს დაცვაზე ზრუნავენ, სთავაზობს მათთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და რესურსებს. აღნიშნული ქსელის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ეკოსკოლების ვებ-გვერდზე: http://www.ecoschools.global/.
- ადგილობრივი ქსელები - მთელ მსოფლიოში ადგილობრივი ორგანიზაციები სკოლებს სთავაზობენ დახმარებას კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაში. დაუკავშირდით სხვა სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, რათა მიიღოთ ინფორმაცია ამ მიმართულებით მომუშავე ადგილობრივი ქსელების შესახებ.

ნაწილი 2

ბუნების მეგობარი სკოლა

მდგრადი განვითარების სასკოლო კულტურის შექმნა

თუ თქვენ სკოლის ხელმძღვანელი ან მასწავლებელი ბრძანდებით, თქვენთვის კარგად იქნება ცნობილი, თუ რა და როგორ ხდება თქვენს სკოლაში და რა მოლოდინი აქვს სკოლას მოსწავლეებთან, სკოლის პერსონალთან და მოსწავლეთა ოჯახის წევრებთან დაკავშირებით. მაგრამ როგორ იქმნება ეს დაწერილი თუ დაუწერელი წესები? ხშირად ეს წესები სასკოლო კულტურის გავლენით იქმნება. სასკოლო კულტურა წარმოადგენს ტერმინს, რომელიც გამოიყენება იმ ღირებულებების, შეხედულებებისა და მოლოდინის აღსაწერად, რომლებიც სკოლის საზოგადოების წევრების კონკრეტულ ქცევას განაპირობებს.

მდგრადი განვითარების სასკოლო კულტურა მოიცავს იმ საერთო ღირებულებებსა და შეხედულებებს, რომლებიც მოსწავლეებს, სკოლის პერსონალსა და მოსწავლეთა ოჯაახის წევრებს გააჩნიათ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოქმედება უფრო მდგრადი საზოგადოების შენებისათვის. გარემოზე ზრუნვა და კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის შემცირების ძალისხმევაში საკუთარი წვლილის შეტანა ამგვარი სასკოლო კულტურის განუყოფელ ნაწილს

წარმოადგენს. შესაბამისად, განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს თქვენი სკოლისთვის კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება, მდგრადი განვითარების სასკოლო კულტურის შექმნის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ზოგიერთი სკოლისთვის კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება ნიშნავს საკუთარი წვლილის შეტანას ჩვენს პლანეტაზე ზრუნვის საქმეში. სხვა სკოლებისთვის, ამგვარი ზომები მხოლოდ იმ პრობლემათა მოგვარებით შემოიფარგლება, რომლებიც უშუალოდ მათზე ზემოქმედებს. მაგალითად, იაპონიაში, სადაც ხშირია ბუნებრივი კატასტროფები, ზოგიერთ სკოლაში, კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომები მოიცავს მოსწავლეებისა და მათი ოჯახების დახმარებას, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მომავალისათვის მზადების მიმართულებით.

იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს თქვენი სკოლისთვის კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გასატარებელი ზომები, წარმოებს აღნიშნულის შესახებ სკოლის საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის მოსწავლეების, მათი მშობლების, დაცვისა და კვების ობიექტის თანამშრომლების, ადმინისტრაციის წევრებისა და მასწავლებლების მოსაზრებებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. სკოლის საზოგადოების წევრებს შორის მოცემული თემის ცნობადობის ასამაღლებლად და ამ თემაზე მათი მოსაზრებებისა და შეხედულებების შესაგროვებლად სხვადასხვა გზა შეგიძლით გამოიყენოთ. მაგალითად, შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს გონებრივი იერიშის გამოყენებით შეადგინონ იმ მახასიათებელთა ჩამონათვალი, რომლებიც თქვენ სკოლას ეკოლოგიურად არაჯანსაღს ხდის. შეგიძლიათ ჩაატაროთ კვლევა მოსწავლეთა ოჯახის წევრებს შორის, იმის გასარკვევად, თუ რა მოსაზრებები გააჩნიათ მათ კლიმატის ცვლილების შესახებ. ასევე, შეგიძლიათ მოაწყოთ კინო ჩვენებრბი ან სამუშაო შეხვედრები და სემინარები, რომელთა ფარგლებშიც, მოსწავლეები, მათი ოჯახის წევრები და მასწავლებლები განიხილავენ და იმსჯელებენ გარემოს დაცვის გზებსა და საშუალებებზე.

შემდეგ ეტაპზე საჭიროა ხედვის ჩამოყალიბება, კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებით, თქვენი სკოლის მისიისა და ღირებულებების შეჯერებით. აუცილებელია თქვენი სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები ასახავდეს თქვენი კონკრეტული სკოლისა და ადგილობრივი საზოგადოების ისტორიას, კულტურასა და საჭიროებებს. ადამიანები მეტი ენთუზიაზმით ეკიდებიან და მეტ ინვესტიციებს დებენ ისეთ სასკოლო პროექტებში, რომელთა მიზნებიც რეალურია და უშუალოდ ადგილობრივი თემის კეთილდღეობის უზრუნველყოფას ემსახურება.

მას შემდეგ, რაც თქვენ ჩამოაყალიბებთ სკოლის ხედვას, საჭიროა მისი ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში დანერგვაზე ზრუნვა. შესაბამისად, ეს ხედვა ასახული უნდა იყოს სკოლის სტრატეგიულ გეგმებში, პოლიტიკაში, პროცედურებში, გაიდლაინებში, ბიუჯეტსა და სკოლის კომიტეტთა დღის წესრიგში.

ნაგოიას დაწყებითი და სრული საშუალო განათლების საერთაშორისო სკოლის მისია

ნაგოია, იაპონია

ნაგოიას საერთაშორისო სკოლის მიზანს წარმოადგენს ისეთი სასკოლო კულტურის შექმნა, რომელიც მდგრად განვითარებას ემსახურება, როგორც ეს სკოლის მისაშია ჩამოყალიბებული. დაწესებულების მიზანია „მოსწავლეებში იმ უნარების განვითარება, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს ობიექტურად შეაფასონ გლობალური საზოგადოების ჭეშმარიტი საჭიროებები, იმოქმედონ დამოუკიდებლად და ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქლაქეებად, რომლებიც მდგრად განვითარებაზე ზრუნავენ.“

გაითვალისწინეთ!

- არის თუ არა თქვენი სკოლის საზოგადოების წევრებს შორის თანხმობა გარემოსდაცვით, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ღირებულებებზე?
- წარმოადგენს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება თქვენი სკოლის სტრატეგიული გეგმის ნაწილს?
- წარმოადგენს თქვენი სკოლის მიზანს გენდერული თანასწორობის მიღწევა და მამაკაცებისა და ქალების, ვაჟებისა და გოგონების თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და მათი თანაბარი მონაწილეობა ხელმძღვანელობაში?
- თქვენი სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ქცევის კოდექსი შეიცავს დებულებებს გარემოს მიმართ პასუხისმგებლური დამოკიდებულების შესახებ?
- უზრუნველყოფს თქვენი სკოლა ახალი თანამშრომლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას სკოლის ღირებულებებისა და კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებულ მოლოდინებზე?
- შესყიდვებთან დაკავშირებით თქვენი სკოლის პოლიტიკა გულისხმობს ეკოლოგიურად უსაფრთხო და სოციალური პასუხისმგებლობის მოთხოვნებს დაქვემდებარებული პროდუქტის შესყიდვას?
- აფინანსებს თქვენი სკოლა პროექტებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედება?
- უზრუნველყოფს თქვენი სკოლა მასწავლებლებისთვის საკმარისი დროის გამოყოფას, რათა მათ შეძლონ გაანალიზონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მიქმედებასთან დაკავშირებული საკითხები და მოლოდინები?
- სკოლაში არსებულ კომიტეტები მუშაობენ გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე?

ყველას აქვს საკუთარი როლი

თქვენი სკოლის საზოგადოების ყველა წევრს აქვს საკუთარი როლი და ფუნქცია კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებული მიზნების შესრულებაში. ფაქტობრივად, სწორედ ეს განაპირობებს ერთიან სასკოლო მიდგომას. გარდა ამისა, სკოლის საზოგადოების ყველა წევრის ჩართვა, სამუშაოს გადანაწილების საშუალებასაც იძლევა. დამატებით, ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს სხვადასხვა უნარების, ცოდნისა და შეხედულებების გაერთიანებას და საკითხისადმი ჭეშმარიტად ჰოლისტიკური მიდგომის განხორციელებას, რაც განაპირობებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედების მიზნით განხორციელებული პროექტების ხანგრძლივად შენარჩუნების საქმეში. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფით, თქვენ ასევე შესაძლებლობას აძლევთ მხარეებს შეიძინონ ცოდნა და გამოიმუშაონ ისეთი უნარები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შეთანხმების მიღწევა და თანაგრძნობა, რაც მდგრადი საზოგადოების შენების უცილობო წინაპირობას წარმოადგენს.

მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის ხელმძღვანელებს, დამხმარე პერსონალს, დაცვის სამსახურის წევრებს, შენობა-ნაგებობათა ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელ პირებს, მოსწავლეთა ოჯახის წევრებსა და ადგილობრივი საზოგადოების წევრებს - ყველას საკუთარი როლი და ფუნქციები გააჩნია (იხ. ცხრილი 1). საჭიროა უზრუნველყოფა იმისა, რომ გოგონები და ვაჟები, ქალები და მამაკაცები თანაბრად იყვნენ ჩართული და აქტიურად მონაწილეობდნენ დასახული მიზნების მიღწევაში. მაგალითად, სკოლის ბაზაზე

არსებული კვების ობიექტის პერსონალს შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გამოყენებით ჯანსაღი საკვების მომზადებაზე, მოსწავლეებს შეუძლიათ აკონტროლონ სკოლაში ენერგოეფექტურობა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებს შეუძლიათ განამტკიცონ მოსწავლეთა მიერ სკოლაში ათვისებული ცოდნა და უნარები, ოჯახში გარემოსათვის სასარგებლო პრაქტიკის დამკვიდრების საშუალებით. რეკომენდებულია სკოლის საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული როლების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თითოეულ ჯგუფს შეუძლია აირჩიოს საკუთარი წარმომადგენელი, რომელიც ჯგუფის სახელით ისაუბრებს და იმოქმედებს და წარმოადგენს ამ ჯგუფს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელ გუნდში, რომლის მოვალეობებშიც შევა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების კოორდინირება (იხ. თავი 3, რეკომენდაცია #1).

ლიდერთა ხელშეწყობა რიო დე ჟანეიროს სკოლაში „COLÉGIO ISRAELITA BRASILEIRO A. LIESSEN“

რიო დე ჟანეირო, ბრაზილია

რიო დე ჟანეიროში არსებული სკოლა - „Colégio Israelita Brasileiro A. Liessen“ - ცდილობს სკოლაში გარემოსადმი პასუხისმგებლური კულტურის დამკვიდრებას. სკოლის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სკოლის საზოგადოების ყველა წევრი - 800 მოსწავლე და 200 თანამშრომელი - უნდა ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რატომ ხორციელდება გარემოსდაცვითი პროექტები. გარდა ამისა, სკოლა ცდილობს სკოლის საზოგადოების ყველა წევრი აქტიურად იყოს ჩართული ამ პროექტების განხორციელების საქმეში. ამ მიზნით, სკოლის გარემოსდაცვითმა გუნდმა მოიწვია შენობა-ნაგებობების დაცვაზე და ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ინჟინრები და სხვა პირები საცდელ, არაფორმალურ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. მათ შენობის სახურავზე გააშენეს მცენარეები, დაამონტაჟეს მზის ენერგიაზე მომუშავე ღუმელები, გამბუკისგან დაამზადეს ველოსიპედის ნაწილები, დათესეს სხვადასხვა მცენარეები, ყვავილები, გააშენეს დასასვენებელი ბაღები და საკვების დამზადებაში მოხმარებული ზეთის გადამუშავებით მიიღეს ბიოსაწვავი. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო სკოლის საზოგადოების წევრებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, მათ შორის საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდის გაღვივებას, სკოლის გამო სიამაყის განცდის ზრდას და ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ინფორმაციისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარება თავისუფლად წარმოებს. გარემოსდაცვითმა გუნდმა სკოლის საზოგადოების წევრებს ასევე შესთავაზა ტრენინგები, პროექტების ხელშეწყობის მიზნით. მაგალითად, ტრენინგი ნარჩენების დახარისხებასთან დაკავშირებულ საკითხებში და საკვებში გამოყენებული ზეთის მოგროვებასთან დაკავშირებულ საკითხებში. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი გუნდის ინიციატივითა და მოხალისე მოსწავლეების მონაწილეობით მოეწყო სამუშაო შეხვედრა-სემინარი მებაღეობის საკითხებზე, რათა მათ შეძლებოდათ სკოლის ბაღების მოვლაზე პასუხისმგებელი პერსონალის დახმარება.

გაითვალისწინეთ!

- უზრუნველყოფილია სკოლის საზოგადოების ყველა წევრი იმ საშუალებებით, რომლებიც მათ გადაწყვეტილებების შესრულებისთვის სჭირდებათ?
- ყველას შეუძლია კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული პროექტების საბოლოო შედეგებში საკუთარი წვლილისა და ზემოქმედების დანახვა?
- ყველას კარგად აქვს გააზრებული საკითხის არსი და მნიშვნელობა?

ცხრილი 1 სკოლის საზოგადოების ყველა წარმომადგენლის ჩართვა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების საქმეში

ცხრილში, ნიმუშის სახით, მოცემულია თუ როგორ არის შესაძლებელი სკოლის საზოგადოების სხვადასხვა წევრთა ჩართვა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებულ პროექტებში. რომელი როლები იმუშავებს საუკეთესოდ თქვენს სკოლაში? თქვენი აზრით, კიდევ როგორ არის შესაძლებელი მოსწავლეების, სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრების ჩართვა აღნიშნულ პროექტებში?

სკოლის საზოგადოების წევრები	**სავარაუდო როლები**
მოსწავლეები	➢ უზრუნველყოფენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული პროექტების დაგეგმვას და მათ განხორციელებას, როგორც გაკვეთილების ფორმატში, ასევე კლუბის ფორმატში ➢ აწარმოებენ შეფასებას (როგორიცაა ნარჩენების მართვისა და ენერგოეფექტურობის კონტროლი) მდგრადი განვითარების მიზნებთან სკოლის საქმიანობის შესაბამისობის ხარისხის დასადგენად ➢ ეხმარებიან მცირეწლოვან მოსწავლეებს რათა მათ შეძლონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებულ პროექტებში მონაწილეობა
მასწავლებლები	➢ გაკვეთილების ფორმატში ეხმარებიან მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა კლიმატის ცვლილების შესახებ, უნარები, რათა მათ შეძლონ მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობათა კვლევა და გადადგან ქმედითი ნაბიჯები კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედების მიმართულებით ➢ ცდილობენ სკოლის საზოგადოების ყველა წევრი ჩართული იყოს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედების სასკოლო ინიციატივებში ➢ ეკოლოგიურად პასუხისმგებლური დამოკიდებულებისა და ქცევის წახალისება, ისეთი ქცევების დადებითი შეფასებით, როგორიცაა სინათლის გამორთვა, როდესაც არ არის მისით სარგებლობა აუცლებელი
სკოლის ხელმძღვანელები და ადმინისტრატორები	➢ უზრუნველყოფენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედების ჩართვას სკოლის ხედვასა და ღირებულებებში ➢ უზრუნველყოფენ მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის მხარდაჭერას, მათთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნისა და კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებული პროექტებისათვის საჭირო რესურსებისა და დროის გამოყოფით ➢ სკოლაში ახალი მასწავლებლის ან სკოლის სხვა პერსონალის აყვანის დროს, ითვალისწინებენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებულ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს

შენობა-ნაგებობების დაცვაზე და ექსლუატაციაზე პასუხისმგებელი პირები	➢ სკოლას სთავაზობენ შენობა-ნაგებობათა ექსპლუატაციაში ცვლილებებს, რომლებიც ემსახურება სკოლის ეკოლოგიური ნაკვალევის შემცირებას ➢ ასწავლიან მოსწავლეებს, როგორ მოუარონ სკოლის ბაღებსა და როგორ დაახარისხონ ნარჩენები ➢ აწარმოებენ სკოლის გათბობის, განათებისა და საკვების მომზადების სისტემებში ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით ცვლილებების შეტანას
სკოლის კვების ობიექტში დასაქმებული პერსონალი	➢ ამზადებენ ჯანსაღ კერძებსა და საკვებს, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გამოყენებით ➢ აწარმოებენ სამზარეულოს ნარჩენების დახარისხებას ისეთ ნარჩენებად, რომლებიც კომპოსტირებას ექვემდებარება, და ისეთ ნარჩენებად, რომლებიც კომპოსტირებას არ ექვემდებარება ➢ აძლევენ რჩევას შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირებს იმის თაობაზე, თუ რომელი მცენარეების მოყვანა არის შესაძლებელი სკოლის ბაღში, რომლებიც შემდგომ სკოლის კვების ობიექტში შეიძლება იყოს გამოყენებული
ადმინისტრაციული მიმართულებით მომუშავე დამხმარე პერსონალი	➢ უზრუნველყოფენ ადმინისტრაციული საქმიანობის მისადაგებას მდგრადი განვითარების მიზნებთან, მაგალითად, დოკუმენტების ბეჭდვას აწარმოებენ ფურცლის ორივე მხარის გამოყენებით და მხოლოდ მაშინ, როცა ამის აუცილებლობა არსებობს ➢ უზრუნველყოფენ გზავნილების გავრცელებას კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებით სკოლის მიღწევებისა და გამოცდილების შესახებ ➢ სკოლაში ვიზიტად მყოფ სტუმრებს აცნობენ სკოლის ღირებულებებს, რომლებიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას
ოჯახები	➢ უზრუნველყოფენ გარემოსადმი მეგობრული პრაქტიკის დამკვიდრებას ოჯახებში, როგორიცაა მაგალითად, წყლის დაზოგვა და ბაღში მცენარეების გაშენება ➢ მოხალისეების სტატუსით მონაწილეობენ სკოლის მიერ ორგანიზებულ კამპანიებში, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას ➢ ახორციელებენ საკუთარ შენატანს, ან აგროვებენ ფულსა და მასალებს, სკოლის მიერ ორგანიზებული პროექტებისთვის, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას
ადგილობრივი თემის წარმომადგენლები და ორგანიზაციები	➢ უზრუნველყოფენ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული იმ ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, რომლის მოგვარების შესაძლებლობაც სკოლას გააჩნია ➢ უზრუნველყოფენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილების გაზიარებას ➢ მოსწავლეებს სთავაზობენს ექსკურსიებსა და საველე გასვლებს, რათა მათ კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაცია რეალურ გარემოში მიიღონ

დაგეგმვა, მოქმედება და გაანალიზება

თქვენი სკოლა, სავარაუდოდ, უკვე ახირციელებს გარკვეულ ღონისძიებებს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ. შესაძლებელია მოსწავლეები რგავენ ხეებს სკოლის ბაღში, ან სკოლას კონკრეტული ზომები აქვს მიღებული ენერგიის მოხმარების შესამცირებლად. მაგრამ კიდევ რისი გაკეთება შეუძლია თქვენ სკოლას კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებისა და მისი ზემოქმედების შესარბილებლად, როგორ არის შესაძლებელი არსებული ინიციატივების გაძლიერება და ახალი ინიციატივების დანერგვა? მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, გულდასმით წარმოებული დაგეგმვის, მოქმედებისა და ანალიზის საშუალებით, განაპირობებს ერთიანი სასკოლო მიდგომის წარმატებას.



მუდმივი წინსვლა და გაუმჯობესება - ალ-კავტარის საშუალო სკოლა

ბეირუთი, ლიბანი

ალ-კავტარის საშუალო სკოლის მოწოდებას წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ცნობადობის ამაღლება. დღეის მდგომარეობით, 2 421 მოსწავლე, 310 მასწავლებელი და 110 ოჯახი ჩართულია პროექტებში, რომლებიც სხვა აქტივობებთან ერთად მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ხეების დარგვა, გადამუშავებული მასალისგან სხვადასხვა ნივთების დამზადება, ეროვნული ნაკრძალებისა და ტყეების მონახულება, მასალების გადამუშავება და წყლის დაზოგვა. სკოლაში ასევე მოეწყო თემატური ფილმების ჩვენება და სემინარები და სამუშაო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებმა, მათი ოჯახის წევრებმა და მასწავლებლებმა იმსჯელეს პლანეტის გადარჩენის გზების შესახებ. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი ISO-26000 რეკომენდაციის გათვალისწინებით, სკოლამ აიღო მუდმივი წინსვლისა და გაუმჯობესების ვალდებულება. სასწავლო წლის დასაწყისში, გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი კომიტეტი ადგენს სამოქმედო გეგმას, წინა

სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილებისა და მიღწევების გათვალისწინებით. კომიტეტი აწარმოებს ჩანაწერებს სკოლის მიერ გახორციელებული ღონისძიებების შესახებ, შესაბამისად, სკოლას აქვს საშუალება თვალყური ადევნოს რომელი ღონისძიებებია ყველაზე ეფექტური და რა ღონისძიებები საჭიროებს გაუმჯობესებას. მასწავლებლები და მოსწავლეები საკუთარ ცოდნას იმაღლებენ ლიბანის და, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სხვა სკოლების წარმომადგენლებთან გამოცდილების ურთიერთგაცვლის საშუალებით. მოსწავლეთა ოჯახის წევრების ჩართვა უზრუნველყოფილია სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და ახალი პროექტების შესახებ მათი ინფორმირების საშუალებით; ინფორმაციის გავრცელება წარმოებს საინფორმაციო ბიულეტენების დარიგებით.

ქვევით მოცემულ საკონტროლო კითხვარში დეტალურად არის აღწერილი პროცესის შემადგენელი თითოეული ეტაპი.

როგორ გავხდეთ გარემოსადმი მეგობრული სკოლა - ძირითადი ეტაპები - საკონტროლო კითხვარი

შემდეგი ეტაპების წარმატებით გასავლელად საჭიროა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელ გუნდთან თანამშრომლობა. დაგეგმვა, მოქმედება და ანალიზი ერთიანი სასკოლო მიდგომის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენს.

დაგეგმვა	☐	**თვით-შეფასების წარმოება** თვით-შეფასების შედეგად ვიღებთ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებების თვალსაზრისით არსებულ სრულ და ობიექტურ სურათს. თვით-შეფასება გვახმარება გამოვყოთ პრიორიტეტები, დავსახოთ მიზნები და შევაფასოთ მიღწევები.
	☐	**სამოქმედო გეგმის შედგენა** სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს სკოლის მიზნებსა და პრიორიტეტებს, ასევე კონკრეტულ ამოცანებს, მოსალოდნელ გრძელვადიან შედეგებსა და ღონისძიებების გატარების ვადებს. იგი უნდა მოიცავდეს ერთიანი სასკოლო მიდგომის ოთხ ასპექტს, კერძოდ: სკოლის მმართველობა, სწავლება და სწავლა, საშუალებები და ღონისძიებები და საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა. სამოქმედო გეგმის ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ დოკუმენტში: (გვ. 33-36): http://www.edu.gov.mb.ca/k12/esd/pdfs/sustainable_guide.pdf
	☐	**როლების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება** როლების განაწილება და ქვეკომიტეტების შექმნა, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სამუშაო დატვირთვის გადანაწილებისთვის და, გარდა ამისა, ამგვარად, ყველას ეძლევა მონაწილეობის შესაძლებლობა. საჭიროა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ერთიანი სასკოლო გეგმის შემუშავების, გახორციელებისა და შეფასების პროცესს.
მოქმედება	☐	**სკოლის სამოქმედო გეგმის გახორციელება** სკოლის სამოქმედო გეგმის გახორციელება საჭიროა ერთიანი სასკოლო მიდგომის ოთხი მიმართულებით და ქვევით მოცემული ექვსი რეკომენდაციის გათვალისწინებით. სკოლის სამოქმედო გეგმის გახორციელებაში აუცილებელია სკოლის საზოგადოების ყველა წევრის ჩართვა.

	☐	**მონაცემთა შეგროვება სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში** საჭიროა სხვადასხვა ტიპის მონაცემთა შეგროვება, ღრმა და სისტემური ცვლილებებისთვის თვალის დევნების მიზნით. შეფასებისა და შემდგომი მოქმედებების განსაზღვრისათვის საჭირო მონაცემები მოიცავს შემდეგს: ➢ მოსწავლეების ხელმძღვანელობით წარმოებული კვლევების მონაცემები (როგორიცაა სკოლის ენერგოეფექტურობის კვლევა, ბიომრავალფეროვნების კვლევა, ტრანსპორტით სარგებლობასთან დაკავშირებული კვლევა, ეკოლოგიური ნაკვალევი და საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა); ➢ სკოლის მიერ წარმოებული რაოდენობრივი კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები (როგორიცაა მოსწავლეთა დასწრების ჩანაწერები და ელექტროენერგიის გადასახადები); ➢ თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, როგორიცაა, მოსწავლეთა ნამუშევრების, საგაკვეთილო გეგმების, მასწავლებელთა მიერ წარმოებული დაკვირვების შესახებ შედგენილი ანგარიშების ნიმუშები, ასევე ფოტომასალა, სკოლის საინფორმაციო ბიულეტენები, კლიმატის ცვლილების შედეგების შესარბილებლად განხორციელებულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი გინდის შეხვედრების ოქმები და სამოქმედო გეგმა.
განალიზება	☐	**გეგმების, სტრატეგიებისა და მიღწევების ანალიზი და გადასინჯვა** მას შემდეგ რაც შეუდგებით კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული და სკოლის მიერ დასახული გეგმების შესრულებას, პერიოდულად საჭიროა მიზნების მიღწევის მიმართულებით შეფასების წარმოება და, საჭიროებისამებრ, მიზნებში, ღონისძიებებსა და მეთოდებში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უნდა უწევდეს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდი.
	☐	**შედეგებისა და მიღებული გამოცდილების გაზიარება და შეფასება** მიღებული შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება, როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე სკოლის ფარგლებს მიღმა, ზრდის ანგარიშვალდებულებას კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებით. სკოლის მიღწევების ობიექტური, სათანადო და საჯარო ანალიზი ხელს უწყობს პროექტების გაგრძელებისთვის მოტივაციის ზრდას. მსოფლიო მასშტაბით, სკოლებმა მიაგნეს შედეგებისა და გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა გზებს, მათ შორისაა შემდეგი: ➢ სასწავლო პროგრამის დახვეწა, შეგროვილი მონაცემების გათვალისწინებით (მაგ. მოსწავლეები ადგენენ დიაგრამებს, რომლებიც ასახავს სკოლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებაში ცვლილებებს); ➢ პოსტერების განთავსება სკოლაში თვალსაჩინო ადგილებში; ➢ მოსწავლეთა ოჯახებისთვის რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის შესაძლებელი ოჯახში ისეთი პრაქტიკის დანერგვა, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურება; ➢ სტუმრების მოწვევა, რომლებსაც მოსწავლეები გააცნობენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მიმართულებით სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობისას მიღებულ საკუთარ გამოცდილებას; ➢ შედეგებისა და გამოცდილების შესახებ ანგარიშების წარდგენა კონფერენციებზე და ამ ანგარიშების სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნება;

- ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა.

ნაწილი 3

სამოქმედო სფეროები

ერთიანი სასკოლო მიდგომა გულისხმობს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული საკითხების სკოლის ყველა ასპექტში გათვალისწინებას, როგორიცაა სკოლის მმართველობა, სწავლება და სწავლა, საშუალებები და ღონისძიებები და საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა. სკოლები, ხშირად, ერთიან სასკოლო მიდგომაზე გადასვლას იწყებენ ერთ ან ორ სფეროში ცვლილებებზე ორიენტირებით, თუმცა, საბოლოო ჯამში, ერთიანი სასკოლო მიდგომის მიზანს წარმოადგენს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედების გათვალისწინება ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე სფეროში.

ერთიანი სასკოლო მიდგომა გულისხმობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებას, სკოლის ნებისმიერ ასპექტში გეგმის შემუშავებისას.

სკოლის მმართველობა

რეკომენდაცია # 1

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა

თქვენს სკოლაში ყველას - გოგონებსა და ვაჟებს, ქალებსა და მამაკაცებს - საკუთარი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებათან დაკავშირებული სკოლის მიზნების მიღწევის საქმეში. ამასთან, როლების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება სამუშაოს ეფექტურად შესრულებას უწყობს ხელს. რეკომენდებულია კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა, რომელიც ამ მიმართულებით სკოლის მიერ განხორციელებული სამუშაოს კოორდინირებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული გუნდი, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, კოორდინირებას გაუწევს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული თქვენი სკოლის გეგმის შემუშავებას, განხორციელებასა და ანალიზსს. გუნდის მუშაობა მოიცავს რამდენიმე შეხვედრას, სასწავლო წლის დასაწყისში, რომლის ფარგლებშიც საჭიროა პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვა, და, ასევე, რამდენიმე შეხვედრას, სასწავლო წლის განმავლობაში, რომელთა ფარგლებშიც საჭიროა პროექტების განხორციელების შეფასების წარმოება და გეგმებში, საჭიროებისამებრ, ცვლილებების შეტანა.

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა შესაძლებელია სკოლის დირექტორისა და სკოლის მასწავლებლების მხარდაჭერით. გუნდი უნდა შედგებოდეს როგორც სკოლის საზოგადოების, ასევე ფართო საზოგადოების იმ ჯგუფების წარმომადგენლებისგან, რომლებიც დაკავშირებული ან დაინტერესებული არიან კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მიმართულებით არსებული ინიციატივებით (იხ. ცხრილი 1). მნიშვნელოვანია, რომ გუნდის წევრებს ჰქონდეთ სხვადასხვა უნარები, ცოდნა და მოსაზრებები. აღნიშნული გუნდის შედგენისას, რეკომენდებულია გაითვალისწინოთ შემდეგი:

- გუნდში რეკომენდებულია ჩართოთ სკოლის სხვადასხვა კლასების (ასაკობრივი ჯგუფების) და სხვადასხვა წარმომავლობის მქონე მოსწავლეთა ჯგუფების წარმომადგენლები. საჭიროა მოსწავლეებს წინასწარ აუხსნათ, თუ რამდენად და როგორ შეეძლებათ მათ ისარგებლონ გადაწყვეტილების მიღების უფლებით. აღნიშნული დაიცავს მათ იმედგაცრუებისაგან, რომელიც მათ შეიძლება დაეფლოთ იმ შემთხვევაში, თუ მათი ყველა ინიციატივა არ იქნება პრაქტიკულად განხორციელებული.
- გუნდში რეკომენდებულია სკოლის საზოგადოების მოზრდილ წევრთა ყველა ჯგუფის წარმომადგენლის ჩართვა: ადმინისტრაციის, მასწავლებლების, დაცვის თანამშრომლების, სკოლაში არსებული კვების ობიექტის თანამშრომლების, დამხმარე პერსონალისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრების წარმომადგენლების ჩათვლით.
- მოიწვიეთ ადგილობრივი საზოგადოების წევრები და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებზეც უშუალო ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს თქვენი სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებს, და რომლებსაც შეუძლიათ გაგიწიონ ტექნიკური მხარდაჭერა და სხვა სახის დახმარება სკოლის ინიციატივების პრატქიკაში დანრგვის საქმეში; მაგალითად, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სკოლის შემოგარენში მცხოვრები საზოგადოების წარმომადგენლები, ადგილობრივი ბიზნეს-საწარმოებისა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

- საჭიროა უზრუნველყოფა იმისა, რომ გუნდში თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი გოგონები და ვაჟები, ქალები და მამაკაცები.
- იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი გუნდის წევრები რეკომენდებულია იყვნენ კენჭისყრის საშუალებით არჩეული და არა ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შერჩეული, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება ისაუბრონ იმ ჯგუფის სახელით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ და, გარდა ამისა, მიაწოდონ ჯგუფის სხვა წევრებს ინფორმაცია და აწამოონ მათი მობილიზება.

სწავლება და სწავლა

რეკომენდაცია # 2

კლიმატის ცვლილების სწავლების ჩართვა ყველა სასწავლო საგანში

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ ზომების გატარება კომპლექსურ ამოცანას წარმოადგენს. გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეთნიკური, პოლიტიკური და მეცნიერებასა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული თავისებურებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების ყველა სასკოლო საგანში ჩართვა, არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნებსა და სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებულ საგნებში.

არ არის საჭირო კლიმატის ცვლილების ცალკე საგნის სახით სწავლება, თუმცა ამგვარი საგნის შემოღება მეტად სასარგებლო იქნება! შეგიძლიათ შესაბამისი საკითხები ჩართოთ ყველა სასკოლო საგანში. მაგალითად:

- მათემატიკის გაკვეთილზე, დაავალეთ მოსწავლეებს დიაგრამების შედგენა, რომლებიც ასახავს სკოლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებაში ცვლილებებს;
- სახვითი ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეებს დაავალეთ შექმნან პოსტერები, რომლებზეც ასახული იქნება კლიმატის ცვლილების ზეგავლენა;
- ენის გაკვეთილებზე, მიეცით მოსწავეებს შესაძლებობა ისაუბრონ იმ საკითხებზე, რომლებიც ზემოქმედებს მათ ცხოვრებაზე და უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, რაც მათ დაეხმარება კომუნიკაციისათვის საჭირო უნარების დახვეწაში;
- დაავალეთ მოსწავლეებს შეადგინონ კონცეპტუალური რუკა, რომელზეც ასახული იქნება სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებს შორის ურთიერთკავშირი;
- დაავალეთ მოსწავლეებს გამოსცენ ჟურნალი, რომელშიც შევა მათ მიერვე დაწერილი სტატიები, სადაც ისინი აღწერენ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მიმართულებით სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას.

დამატებითი მაგალითები იხილეთ ქვევით მოცემულ ცხრილში 2.

არ აქვს მნიშვნელობა რომელ საგანს ასწავლით, საჭიროა შეაფასოთ მოსწავლეების მიერ თქვენი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნა, რომელიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას. შეფასების შემდეგ უკუკავშირის შედეგად უმჯობესდება მოსწავლეთა სწავლის ხარისხი, ვინაიდან ისინი იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რას აკეთებენ კარგად და რა მიმართულებით საჭიროებენ მუშაობას, გაუმჯობესების მიზნით. შეფასება ასევე შეიცავს გზავნილს იმის შესახებ, რომ ამ მიმართულებით ცოდნის შეძენა მნიშვნელოვანია.

ცხრილი 2 კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლების ჩართვა ყველა სასკოლო საგანში

შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ ცხრილში მოყვანილი მაგალითებით, რომლებიც სხვადასხვა სასკოლო საგნების ფარგლებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებას ეხება. რომელი მაგალითი ესადაგება უკეთ თქვენს სკოლას და თქვენს კლასს? კიდევ რა აქტივობების ჩართვა შეგიძლიათ თქვენი საგნის ფარგლებში, რომლებიც დაეხმარება თქვენს მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია მიიღონ კლიმატის ცვლილების შესახებ და გაახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შერბილებას ემსახურება?

საგანი	მაგალითი
სოფლის მეურნეობა/ მებაღეობა	➢ გააშენეთ ბაღი სკოლის შემოგარენში და აწარმოეთ კომპოსტი ➢ ჩაატარეთ გამოკითხვა ადგილობრივ ფერმერებს, როგორც ქალებს ასევე მამაკაცებს შორის, რათა შეიტყოთ რა ზეგავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე კლიმატის ცვლილება
სახვითი ხელოვნება და სასცენო ხელოვნება	➢ შექმენით პოსტერები, რომლებზეც გამოსახული იქნება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ნიმუშები ➢ განიხილეთ სიმღერები, რომელთა ტექსტებიც ეხება გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს ან შეიცავს ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გზავნილებს.
ბიოლოგია	➢ იმსჯელეთ რა ზემოქმედებას ახდენს კლიმატის ცვლილება ისეთი დაავადებების გავრცელებაზე, როგორიცაა მაგალითად, მალარია ➢ აწარმოეთ სკოლის ეზოში ან ადგილობრივად არსებული ბიომრავალფეროვნების შეფასება
სამოქალაქო განათლება	➢ ჩაატარეთ გამოკითხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, იმის გასარკვევად, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ისინი კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად და მისი ზემოქმედების შესარბილებლად ➢ მოაწყეთ ადგილობრივი სანაპიროს ან პარკის დასუფთავების ღონისძიება
გეოგრაფია	➢ მოაწყვეთ საველე გასვლები, რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეები გამოიკვლევენ ურბანიზაციის ზრდის ტენდენციის მიზეზებსა და შედეგებს ➢ მოსწავლეებთან ერთად შეადგინეთ რუკები, რომლებზეც აღნიშნული იქნება კლიმატის ცვლილების ზეგავლენის მაღალი რისკის მქონე ტერიტორიები
ჯანმრთელობა და ფიზიკური აღზრდა	➢ შეახსენეთ მოსწავლეებს გაითვალისწინონ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული წესები, სკოლის შემოგარენში ვარჯიშისა და სხვა აქტივობების გახორციელებისას ➢ მიაწოდეთ ინფორმაცია მოსწავლეებს გარემოს ფაქტორებთან - როგორიცაა ჰაერის დაბინძურება - დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების შესახებ ➢ შეადგინეთ ჯანსაღი პრაქტიკის ეკოლოგიური სარგებლის ჩამონათვალი, როგორიცაა აქტიური ტრანსპორტირება
ისტორია	➢ სთხოვეთ მოსწავლეებს გაანალიზონ, ისტორიის მანძილზე, როგორ ახერხებდა კაცობრიობა კონფლიქტების მოგვარებას და გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირებასა და მათთან გამკლავებას ➢ დაავალეთ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია ეკოლოგიასთან

	დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის შესახებ და განიხილონ, როგორ შეიძლება მისი მისადაგება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ადგილობრივ პრობლემებთან და მათ მოგვარებასთან
ენა და ლიტერატურა	➢ მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა ისაუბრონ და იმსჯელონ ადგილობრივ თუ გლობალურ პრობლემებსა და გამოწვევებზე და განავითარონ კომუნიკაციისათვის საჭირო უნარები ➢ დაავალეთ მოსწავლეებს შეთხზან ლექსები და მოთხრობები კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის ამსახველ ფოტო და ვიდეო მასალებზე
მათემატიკა	➢ დაავალეთ მოსწავლეებს დიაგრამების შედგენა, რომლებიც ასახავს სკოლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარებაში ცვლილებებს ➢ გამოიანგარიშეთ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სიღარიბისა და შიმშილის სტატისტიკა, სქესის მიხედვით.
მეცნიერება და ტექნოლოგიები	➢ გამოიკვლიეთ ბუნებრივი და ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს კლიმატზე ➢ მოსწავლეებთან ერთად აწარმოეთ გავრცელებული ქიმიური საშუალებების სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება
პროფესიული და ტექნიკური განათლება	➢ დაიცავით შრომის უსაფრთხოების წესები, რომლებიც ემსახურება სამუშაო ადგილზე ქალებისა და მამაკაცების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას ➢ აწარმოეთ ტექნოლოგიების გამოყენებით სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გზების ძიება ➢ პროდუქტის შექმნისას გაითვალისწინეთ გარემოსდაცვასთან დაკავშირებული და სოციალური პასუხისმგებლობები

რეკომენდაცია # 3

კრიტიკული, შემოქმედებითი და პერსპექტიული აზროვნების განვითარება

ჩვენს კომპლექსურ და მუდმივად ცვალებად მსოფლიოში, საკმარისი არ არის კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებული მხოლოდ სპეციფიკური და ექსპერტების მიერ დადასტურებული გადაწყვეტილებების სწავლება. საჭიროა მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და პერსპექტიული აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა.

- ➢ კრიტიკული აზროვნების უნარები: საკითხის გაანალიზებისათვის საჭირო ინფორმაციისა ან პერსპექტივის იდენტიფიცირება; კონკრეტული პოზიციის განმტკიცებისათვის საჭირო მტკიცებულებების შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება...
- ➢ შემოქმედებითი აზროვნების უნარები: შესაძლებლობების ძიება; სხვა კულტურათა, სხვა პერიოდისა და განსხვავებულ კონტექსტებში მიღებული გამოცდილების გააზრება; გადაწყვეტილებათა მიგნება...
- ➢ პერსპექტიული აზროვნების უნარები: სავარაუდო, შესაძლო და სასურველი მომავლის პერსპექტივათა განსაზღვრა; გადაწყვეტილებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების შედარება; სიფრთხილის პრინციპის გამოყენება.

როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ მოსწავლეებს კრიტიკული, შემოქმედებითი და პერსპექტიული აზროვნების განვითარებაში? გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს თანამშრომლობის საფუძველზე სწავლა. თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის პროცესში, მოსწავლეებს, კომპლექსურ კითხვებზე

პასუხების პოვნის მიზნით, მუშაობა უწევთ სხვადასხვა წარმომავლობის მქონე პირებთან, პირებთან რომლებსაც განსხვავებული ღირებულებები და ხედვა გააჩნიათ. მუშაობის ამგვარი სტილი აიძულებს მოსწავლეებს გაითვალისწინონ საკითხებისადმი სხვადასხვა ხედვა, გადაწყვეტილებები და სტრატეგიები, ვიდრე ერთ კონკრეტულ პოზიციას აირჩევენ.

თუ თქვენ თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის მიდგომას პირველად იყენებთ, საჭიროა დაიმახსოვროთ, რომ თანამშრომლობა უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური დავალებების შესრულებისას პასუხების ურთიერთგაზიარება. თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის ეფექტურად გამოყენებისათვის საჭიროა ჯგუფური მუშაობის იმგვარად დაგეგმვა, რომ თითოეული მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდეს საერთო მიზნის მიღწევის ძალისხმევაში. თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის ინსტიტუტის - „Cooperative Learning Institute“- ვებ-გვერდზე.

თანამშრომლობის საფუძველზე სწავლა ათენის 1-ლ ექსპერიმენტალურ ლიცეუმში - „GENNADEIO“

ათენი, საბერძნეთი

ათენის 1-ლ ექსპერიმენტალურ ლიცეუმში - „GENNADEIO“ - წარმოებს ინოვაციული პროგრამების შეტანა. 2013 წელს, ლიცეუმის ბილოგიისა და ქიმიის სასწავლო პროგრამაში, რომელშიც ლიცეუმის 157 მაღალი კლასის მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, შეტანილი იქნა კომპლექსური სისტემა. აღნიშნული კომპლექსური სისტემა გულისხმობდა მოსწავლეების ჯგუფურ მუშაობას კლიმატის ცვლილების, ვირუსების გავრცელების და ეკოსისტემის დინამიკის კვლევის მიმართულებით, კომპიუტერული სიმულაციების დახმარებით. კვლევის ფარგლებში მოსწავლეებმა მიაგნეს კომპლექსური სისტემის მახასიათებლებს, როგორიცაა, დადებითი და უარყოფითი უკუკავშირის მარყუჟები. მათ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ საკუთარი ცოდნა. მაგალითად, მოსწავლეთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის შენობის ენერგოეფექტურობა, ამ მიმართულებით მისი ხარვეზების აღმოსაჩენად და ამ ხარვეზების აღმოფხვრისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. სკოლაში, სადაც მოსწავლეების აკადემიური მოსწრება და მოსწავლეების ინტერესი მეცნიერებისა და კვლევისადმი მაღალია, კომპლექსური სისტემების შესწავლის მიზნით ტექნოლოგიებისა და თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის მიდგომის გამოყენება კარგად მიესადაგა მოსწავლეების უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსურ სისტემათა კვლევა გამოყენებული იქნა როგორც მასწავლებლების და მოსწავლეების სწავლის შესაძლებლობა. გაკვეთილების უმრავლესობა ეთმობოდა თანატოლთა შეფასებას. თითოეულ გაკვეთილზე, მასწავლებელი ინიშნავდა მოსწავლეების კომენტარებს, კითხვებსა და დამოკიდებულებებს. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები სრულად იყვნენ ჩართული გაკვეთილების მსვლელობაში, და მათ მნიშვნელოვანი ცოდნა შეიძინეს რეალური მსოფლიოს პრობლემების შესახებ. მასწავლებლები სწავლების ამაგვარი მეთოდების შესახებ საკუთარი დასკვნებით წარსდგნენ სკოლის პერსონალის მონაწილეობით გამართულ შეხვედრებსა და კონფერენციებზე.

გაითვალისწინეთ!

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და გაანალიზება, რეკომენდებულია, თქვენმა მოსწავლეებმა აწარმოონ შემდეგ ხედვებზე ყურადღების გამახვილებით:

- ადგილობრივი და გლობალური პერსპექტივები;
- გენდერული პერსპექტივა;
- წარსულის, აწმყოსა და მომავლის პერსპექტივები;
- ემოციური, ღირებულებებზე დაფუძნებული და ფაქტებზე დაფუძნებული პერსპექტივები;
- ადამიანის ხედვა და ადამიანისაგან განსხვევბული სამყაროს ხედვა;
- მარგინალიზებული და არამარგინალიზებული პირებისა და ჯგუფების ხედვა, განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების ხედვა.

რეკომენდაცია # 4

მოსწავლეების წახალისება ღონისძიებების გახორციელებაში მონაწილეობის მისაღებად

ეკოლოგიური პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა უნდა იყოს მოქმედებაზე ორიენტირებული. მოსწავლეთა წახალისება და მათი მოტივირება მოქმედებისთვის მზადყოფნის მიმართულებით სამ კომპონენტს მოიცავს[iv].

1. მოქმედების შესახებ სწავლა - მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ იყვნენ წარმატებულები. მაგალითად, შეგიძლიათ მოსწავლეებს მიაწოდოთ ინფორმაცია, ისტორიის მანძილზე, ცვლილებების გასახორციელებლად გაღებული ადგილობრივი და გლობალური ძალისხმევის შესახებ. შეგიძლიათ თქვენს მოსწავლეებს დაეხმაროთ იმ უნარების გამომუშავებაში, რომლებიც მათ მოქმედებისთვის სჭირდებათ (მაგ. თანხმობის მიღწევა, აქტიური მოსმენა, ადვოკატირება, თანაგრძნობა...).
2. მოქმედების საშუალებით სწავლა - მიეცით მოსწავლეებს საშუალება თავად დაგეგმონ და გაახორციელონ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული პროექტები. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ საკუთარ პროექტზე გაკვეთილების მსვლელობისას ან კლასგარეშე აქტივობის ფარგლებში. ორივე შემთხვევაში, უნდა გახსოვდეთ, რომ საჭიროა მოსწავლეების წახალისება და მათი ხელშეწყობა, რათა მათ საკუთარი ცოდნის გამოყენებით შეძლონ უკეთესობისკენ შეცვალონ საკუთარი, სკოლისა თუ საზოგადოების ცხოვრება. მაშასადამე, უმთავრესი ამ მიმართულებით არის არა ის, თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი, არამედ ის, რომ პროექტის იდეა ეკუთვნოდეს მოსწავლეებს და ღონისძიებები და აქტივობები ხელს უწყობდეს მოსწავლეებში იმ უნარების განვითარებას, რომლებიც კონკრეტული მოქმედებების გახორციელებისათვის არის საჭირო.
3. მოქმედების საფუძველზე სწავლა - საშუალება მიეცით მოსწავლეებს გააანალიზონ საკუთარი მიღწევები, შეძენილი ცოდნა და, ასევე, იმსჯელონ იმაზე, თუ შემდეგ ჯერზე რას გააკეთებენ უკეთ.

თქვენი სკოლის ტერიტორია მოსწავლეებისათვის მოქმედების საუკეთესო არეალს წარმოადგენს. უფრო მარტივია თქვენი სკოლის გარემოსადმი მეგობრულ სკოლად ქცევაზე ზრუნვა, ვიდრე მთლიანი საზოგადოების, რეგიონისა თუ ქვეყნის მდგრად განვითარებაზე ზრუნვა. თქვენს სკოლაში ცვლილებების დანერგვით, მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გამოწვევები და შესაძლებლობები ექმნებათ მათ მოქმედებისას ან კონკრეტული ღონისძიებების გახორციელებისას. თუ თქვენ პროექტის გახორციელებას სკოლის ფარგლებში გეგმავთ, მიმართეთ სკოლის ხელმძღვანელს, რომელსაც შეუძლია გირჩიოთ თუ ვინ უნდა იყოს ჩართული თქვენს პროექტში (მაგალითად სხვა მასწავლებლები, შენობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, დამხმარე პერსონალი და ა.შ.), რომლებიც შესაძლებელია ფლობდნენ გამოცდილებას, რომლის გაზირებაც თქვენი პროექტის წარმატების გარანტია იქნება, ან თქვენი მოსწავლეების მიერ დაგეგმილი პროექტი შესაძლებელია უშუალო გავლენას ახდენდეს მათ სამუშაოზე.

საშუალებები და ღონისძიებები

რეკომენდაცია # 5

აქციეთ თქვენი სკოლა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების ფლაგმანად

„სიტყვის საქმედ ქცევა“ წარმოადგენს ფრაზას, რომელიც კარგად ერგება სკოლას. თქვენი სკოლა, სადაც მოსწავლეები, სავარაუდოდ, ყველაზე მეტ ინფორმაციას იღებენ კლიმატის ცვლილების შესახებ, უნდა ესადაგებოდეს სკოლის ღირებულებებს.

ყველაზე გავრცელებული გზა, რომლის საშუალებითაც სკოლები მდგრადი სკოლების სტატუსის მოპოვებას ცდილობენ, არის ამ სკოლების მიერ ღონისძიებების გატარება კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესარბილებლად და გარემოს გასაუმჯობესებლად, როგორიცაა მაგალითად, ხეების დარგვა, კომპოსტის წარმოება, ენერგიის, წყლისა და ქაღალდის ეკონომიურად და ეფექტურად მოხმარება. მიუხედავად იმისა, რომ გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, სკოლას შეუძლია კიდევ უფრო შორს წავიდეს და შეეცადოს მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მოდელირებას, სხვადასხვა გზით (იხ. ცხრილი 3).

ჯანმრთელი ბავშვები და ჯანსაღი გარემო ჰაუკსტონის დაწყებით სკოლაში

კვაზულუ ნატალი, სამხრეთ აფრიკა

ჰაუკსტონის დაწყებითი სკოლა ეკო-სკოლების პროგრამას 2004 წელს შეუერთდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, სკოლა კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მიმართულებით სანიმუშო სკოლად იქცა. კონკრეტულად, სკოლამ შეძლო ეჩვენებინა, თუ რამდენად არის საზოგადოების სიჯანსაღე ჯანსაღ გარემოზე დამოკიდებული და პირიქით. მაგალითად, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეებმა ისწავლეს როგორ უნდა გაეკეთებინათ წყლის ავზები და ნიჟარები გადამუშავებული მასალისაგან. მოსწავლეები ამგვარად დამზადებულ ავზებსა და ნიჟარებს იყენებენ წყლის დასაზოგად და სკოლაში ჰიგიენის ნორმების დასაცავად. ზოგიერთმა მოსწავლემ მსგავსი ავზები და ნიჟარები სახლისთვისაც დაამზადა.

კიდევ ერთი ერთიანი სასკოლო მიდგომა, რომელიც ამ სკოლაშია დამკვიდრებული დაიწყო მარტივი პროექტით, რომელიც ნარჩენების მართვას ეხებოდა. როდესაც ნარჩენების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ეზოს დანაგვიანების ძირითად წყაროს წარმოადგენდა კანფეტებისა და სასუსნავების შესაფუთი მასალა, სკოლამ გადაწყვიტა ნარჩენებისა და არაჯანსაღი კვების პრობლემებს ერთდროულად გამკლავებოდა. სკოლის კვების ობიექტში, კანფეტებისა და სასუსნავების ნაცვლად, დაიწყეს სეზონური ხილის, არაქისისა და ადგილზე დამზადებული ბატი-ბუტის გაყიდვა. ჯანსაღი საკვების მიწოდება წარმოებს შეფუთვის გარეშე ან მინიმალური შეფუთვით, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა ნივთების დასამზადებლად, როგორიცაა ქაღალდისგან დამზადებული ურნები, ყელსაბამები, სახტუნელები[v].

ცხრილი 3 კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მოდელირება

შეგიძლიათ ისარგებლოთ ცხრილში მოცემული რეკომენდაციებით, რომლებიც ეხება სკოლის მიერ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მოდელირებას. რომელი მაგალითი ესადაგება უკეთ თქვენს სკოლას? კიდევ რა აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელება შეუძლია თვქნს სკოლას?

თემა	**კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარების მოდელირების შესაძლო გზები**
ბიომრავალფეროვნება და ბუნება	➢ დარგეთ ყვავილები, ხეები, ბუჩქები და მოიყვანეთ ხილი და ბოსტნეული, რომლებიც ადგილობრივად ხარობს ➢ დარგეთ ხეები, რომლებიც ჩრდილს შექმნის ისეთ ტერიტორიაზე, სადაც მოსწავლეები თამაშობენ, ერთობიან, დაკავებულები არიან საკლასო ოთახის გარეთ აქტივობებით
ენერგია	➢ გამორთეთ ნათურები, კომპიუტერები და სხვა ელექტრო მოწყობილობები, როდესაც მათ არ იყენებთ ➢ რეგულარულად შეამოწმეთ მექანიკური მოწყობილობები, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი გამართულად მუშაობს
გონივრული მოხმარება	➢ შეიძინეთ ადგილობრივი წარმოების პროდუქტი ➢ შეიძინეთ პროდუქტი, რომლებიც მოყვანილია ისეთ ფერმებსა და პლანტაციებში და დამზადებულია ისეთ საწარმოებში, სადაც დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომელიც შრომისადმი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას გულისხმობს

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	➢ სკოლის კვების ობიექტები მოსწავლეებს უნდა სთავაზობდეს ჯანსაღ, ორგანულ, ადგილობრივი წარმოებისა და მინიმალურად შეფუთულ საკვებს ➢ საჭიროა ნიჟარები და ონკანები მუდმივად მუშა მდგომარეობაში იყოს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ხელების რეგულარული ბანვა
ნარჩენები	➢ ურჩიეთ მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს შინიდან წამოიღონ საუზმე, რომელიც მინიმალურად იქნება შეფუთული ➢ სათანადოდ განათავსეთ ცალ-ცალკე ურნები გადასამუშავებელი ნარჩენებისათვის, კომპოსტისა და ნაგვისთვის, რათა მოსწავლეები და სკოლის პერსონალი მიეჩვიონ ნარჩენების დახარისხებას
ტრანსპორტი	➢ ურჩიეთ მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს ისარგებლონ ტრანსპორტით, რომელიც გარემოს არ აბინძურებს ➢ სკოლის ახალი შენობა, ეცადეთ, განთავსებული იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან ახლოს
წყალი	➢ გადაკეთეთ წყალი, როდესაც მას არ იყენებთ ➢ გზის სავალი ნაწილი მოაპირკეთეთ ბუნებრივი მასალით, რომელიც წვიმის წყალს გადინების საშუალებას მისცემს, ძლიერი წვიმების დროს ➢ უზრუნველყავით ქიმიური ნარჩენების სათანადოდ განკარგვა (რათა არ მოხდეს მათი გადაღვრა უკონტროლოდ)

საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა

რეკომენდაცია # 6

საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა სწავლებისა და სწავლის სამსახურში

სკოლებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესამსუბუქებლად. თუმცა, არსებობს ბევრი პრობლემა, რომლებსაც სკოლა დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება და რომლების მოგვარებაც გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით, სკოლამ უნდა დაამყაროს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა საზოგადოებასთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობა გააუმჯობესებს მოსწავლეების სწავლის პროცესსაც. საკლასო გარემოს გარეთ მიღებული სწვლის გამოცდილება მოსწავლეებს ეხმარება საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირების დამყარებაში. საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა დაგეხმარებათ გაარკვიოთ, თუ რომელი ქვემოთ მოცემული სწავლის შესაძლებლობები ესადაგება ყველაზე უკეთ მოსწავლეთა საჭიროებებს.

- ➢ სკოლის შენობა და შემოგარენი აქციეთ სასწავლო ლაბორატორიად - მიეცით მოსწავლეებს საშუალება შეისწავლონ, შექმნან და ისარგებლონ იმ სისტემებით, რომლებიც თქვენს სკოლას გარემოსადმი მეგობრულ სკოლად აქცევს. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება დაკვირვება აწარმოონ იმაზე, თუ როგორ მზადდება საკვების ნარჩენებისაგან კომპოსტი, ითამაშონ და გაერთონ იმ ხეების ჩრდილში, რომლებიც მათ თავად დარგეს, ან სტუმრებს გაუწიონ გიდობა და დაათვალიერებინონ ის ადგილები, რომლებიც თქვენს სკოლას გარემოსადმი მეგობრულ სკოლად აქცევს.
- ➢ შეეცადეთ სწავლის პროცესი საკლასო გარემოს გარეთ გააგრძელოთ - მოაწყეთ ექსკურსია სკოლის შემოგარენში. მიეცით საშუალება მოსწავლეებს შეისწავლონ ბიომრავალფეროვნება ბუნებრივ გარემოში, გამოკითხონ ადგილობრივი მაცხოვრებლები და შეიტყონ, თუ რითი არიან ისინი

კმაყოფილი და რითი უკმაყოფილო, გარემოსთან დაკავშირებით, ან შეისწავლონ სკოლის შემოგარენში არსებული ლანდშაფტი.

- მოაწყვეთ საველე ექსკურსიები - წაიყვანეთ მოსწავლეები ექსკურსიაზე და დაათვალიერებინეთ მათ ისეთი ადგილები, როგორიცაა ადგილობრივი ფერმები, პლანტაციები, კატასტროფის მართვის ცენტრები, წყლის გადამუშავების საწარმოები. ამგვარი ექსკურსიები ეხმარება მოსწავლეებს ჩაერთონ რეალურ პროცესებში და თავად აღმოაჩინონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები და ამ გამოწვევებთან გამკლავების გზები.
- მიეცით მოსწავლეებს საშუალება ისწავლონ გამოცდილების საფუძველზე - მოსწავლეებს შეუძლიათ შეიძინონ ადგილობრივ საწარმოთა თუ ორგანიზაციათა საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილება, თანამშრომლობის საფუძველზე სწავლისა და საზოგადოების მომსახურების სასწავლო პროგრამების საშუალებით.
- მოუწოდეთ მოსწავლეებს მოქმედებისკენ - მიეცით მოსწავლეებს საშუალება თავად შეიმუშაონ და გაახორციელონ პროექტები, რომლებიც იმ რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება, რომლების იდენტიფიცირებასაც ახდენენ გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ჯგუფები. მოსწავლეთა ოჯახის წევრებსა და ადგილობრივი საზოგადოების წევრებს ამ პროექტების გახორციელებაში თქვენი მოკავშირეები შეუძლიათ გახდნენ, გაუზიარონ მოსწავლეებს საკუთარი ცოდნა, უნარები, პროექტის გახორციელებისათვის გამოყონ საჭირო დრო და რესურსები.

საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა სკოლის მოსწავლეების სწავლის გაუმჯობესების სამსახურში

ფრედენსბორგი, დანია

ადგილობრივ არაკომერციულ ორგანიზაციასთან პარტნიორული ურთიერთობის წყალობით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შთამბეჭდავი და მოსახერხებელი სწავლის გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. სასწავლო წლის განმავლობაში რვაჯერ, მოსწავლეები სტუმრობენ ბაღებს, ფერმებსა და სამზარეულოებს, რომლებშიც ორგანიზაცია „Haver til Maver“ საკუთარ საქმიანობას ახორციელებს. თითოეული ექსკურსიის დროს მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ და გესაუბრონ სპეციალისტებს, როგორიცაა ფერმერები, მზარეულები, ბიოლოგები და მებაღეები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარებიან ბევრი რამ შეიტყონ მცენარეების, ხეების, ბოსტნეულის, არომატებისა და გემოების შესახებ. სკოლის მასწავლებლების თანახმად, ამ ექსკურსიების წყალობით მოსწავლეები ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებულ ახალ უნარებს და ბევრ სასარგებლო ჩვევას იძენენ, რომლებიც მათ, მათი ოჯახის წევრებსა და ფართო საზოგადოებას მომავალში გამოადგება. გარდა ამისა, ტრადიციული საკლასო გარემოსგან განსხვავებულ გარემოში სწავლა ეხმარება მოსწავლეებს თანატოლებთან უკეთესი ურთიერთობის დამყარებაში და თვით-შეფასების ამაღლებაში.

გაითვალისწინეთ!

საზოგადოების რომელს ჯგუფებს შეუძლიათ თქვენ სკოლასთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება? არჩევანი დიდია:

- მოსწავლეთა ოჯახის წევრები
- სხვა სკოლები
- ადგილობრივი ასოციაციები და ორგანიზაციები
- ადგილობრივი ბიზნეს-საწარმოები, ფერმები და პლანტაციები
- საზოგადოებრივი ცენტრები
- მედია საშუალებები (ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები, ადგილობრივი რადიო სადგურები, სოციალური მედია და ა.შ.)
- ადგილობრივი უნივერსიტეტის პროფესორები და მკვლევარები
- ადგილობრივი გარემოსდაცვითი ჯგუფები
- ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები

- ეროვნული და საერთაშორისო ქსელები, როგორიცაა გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელი (ASPnet) და ეკო-სკოლები

საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობები სასარგებლოა არა მხოლოდ მოსწავლეებისათვის, არამედ ასევე, ფართო საზოგადოებისთვისაც. ადგილობრივი საზოგადოების წევრებისათვის თქვენს სკოლას შეუძლია შეასრულოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების ცენტრის ფუნქცია. ქვევით მოცემულია რამდენიმე რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია თქვენს სკოლას გახდეს შთაგონების წყარო და საკუთარ საქმიანობაში ჩართვის მიზნით მოიზიდოს ფართო საზოგადოების წევრები:

- უმასპინძლეთ თემატური ფილმების ჩვენებებსა და სემინარებს, რომელთა მიზანიც კლიმატის ცვლილების ცნობადობის ამაღლება იქნება.
- მოიწვიეთ სტუმრები, რომლებსაც გააცნობთ თქვენი სკოლის მიერ განხორციელებულ ინიციატივებს, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას.
- მოაწყვეთ საჯარო ღონისძიებები, როგორიცაა მაგალითად, სანაპიროს, ტყის ან სკოლის შემოგარენის დასუფთავება.
- ითანამშრომლეთ სხვა სკოლებთან და ბიზნეს-საწარმოებთან, რომლებიც საკუთარი პროექტების წარმატების საიდუმლოს გაგიზიარებენ.
- კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებასთან დაკავშირებული თქვენი გამოცდილება გაუზიარეთ სხვებს, სოციალური მედიის, ადგილობრივი გაზეთებისა და რადიო სადგურების საშუალებით.

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წევრი სკოლები და მკვლევარები ტყეების შენარჩუნების სამსახურში

კოტ-დ'ივუარი

კოტ-დ'ივუარში, ტყის რესურსები ყველაზე ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პირველადი სამედიცინო მომსახურების მიწოდებაში და, გარდა ამისა, ემსახურება ტრადიციული ცოდნისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ ამ ტყეების მრავაფეროვნებას საფრთხე ემუქრება, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წევრი სკოლები, უნივერსიტეტის მკვლევარები და ექიმები გაერთიანდნენ კოტ-დ'ივუარის ტყის რესურსის გადასარჩენად. სკოლა კურირებს ბოტანიკურ ბაღებს, სადაც მშობლები და ტრადიციული მედიცინის მიმდევრები მოსწავლეებს ასწავლიან როგორ არის შესაძლებელი ტყის რესურსების მართვა და მათი შენარჩუნება, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. ბოტანიკურ ბაღებში საგანმანათლებლო ექსკურსიების დროს, მოსწავლეები ეზიარებიან ტრადიციულ ცოდნას სამკურნალო მცენარეების კულტივაციის შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს ამოიცნონ, დაიცვან და შეინარჩუნონ სამკურნალო მცენარეები, რომლებსაც უდიდესი ეკოლოგიური და კულტურული დატვირთვა აქვს კოტ-დ'ივუარში. სპეციალისტებთან და მკვლევარებთან თანამშრომლობით, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წევრი სკოლები ამჟამად გეგმავენ მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკის შექმნას და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობების განაშენიანებას.

ნაწილი 4

მიღწევების მონიტორინგი

მას შემდეგ, რაც სკოლის კულტურაში მდგრადი განვითარების ელემენტების დამკვიდრება გახორციელდება, შეგიძლიათ შეუდგეთ ღონისძიებების დაგეგმვასა და გახორციელებას, ქვევით მოცემული ექვსი რეკომენდაციის შესაბამისად. აღნიშნული რეკომენდაციები მოიცავს სასკოლო ცხოვრების ოთხ სფეროს და ემყარება ერთიან სასკოლო მიდგომას. ქვევით მოცემული საკონტროლო კითხვარით შეგიძლიათ ასევე ისარგებლოთ აღნიშნული მიმართულებით სკოლის მიღწევების შესაფასებლად.

რეკომენდაცია	არა	დიახ, მაგრამ შეგვიძლია უკეთ	დიახ
სკოლის მმართველობა 1. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გახორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნა	☐	☐	☐
სწავლება და სწავლა	☐	☐	☐

2. კლიმატის ცვლილების სწავლების ჩართვა ყველა სასწავლო საგანში			
3. კრიტიკული, შემოქმედებითი და პერსპექტიული აზროვნების განვითარება	☐	☐	☐
4. მოსწავლეების წახალისება ღონისძიებების გახორციელებაში მონაწილეობის მისაღებად	☐	☐	☐
საშუალებები და ღონისძიებები 5. აქციეთ თქვენი სკოლა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფლაგმანად	☐	☐	☐
საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა 6. საზოგადოებასთან პარტნიორული ურთიერთობა სწავლებისა და სწავლის სამსახურში	☐	☐	☐

გაითვალისწინეთ!

ონ-ლაინ ხელმისაწვდომია სხვა, უფრო დეტალური საკონტროლო კითხვარები, რომლებითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში. მაგალითად, შემდეგი რეკომენდაციები ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:

- Framework for Developing Whole-School Approaches to Education for Sustainability [მდგრადი განვითარებისათვის განათლებისადმი ერთიანი სასკოლო მიდგომის დანერგვის ჩარჩო]: http://www.tlri.org.nz/sites/default/files/projects/9245_Appendix%20A.pdf.
- Ontario EcoSchools 2015-2016 Certification Guide [ონტარიოს ეკო-სკოლების სერტიფიცირების სახელმძღვანელო, 2015-2016 წწ]: http://www.ontarioecoschools.org/wp-content/uploads/2015/09/Certification_Guide_2015_16.pdf
- Namib Desert Environmental Education Trust; Bush Telegraph (Vol. 13, Nr. 2, 2014): "Tools for a Sustainable School" [ინსტრუმენტები მდგრადი სკოლისთვის] : http://www.nadeet.org/sites/default/files/2014_2_BT_Tools%20for%20Schools.pdf

განმარტებები და შენიშვნები

[i] UNESCO, 2015. Not just hot air: Putting climate change education into practice: http://unesdoc.unesco.org/images/0023/002330/233083e.pdf (Accessed 11 March 2015)

[ii] Henderson, K., & Tillbury, D., 2004. Whole-school approaches to sustainability: An international review of sustainable school programs. Australian Research Institute in Education for Sustainability. http://aries.mq.edu.au/projects/whole_school/files/international_review.pdf (Accessed 10 December 2015)

[iii] Australian Sustainable Schools Initiative. 2007. Education for sustainability: A guide to becoming a sustainable school. Department of Education and Children's Services.

[iv] Kozak, S., & Elliot, S., 2014. Connecting the dots: Key learning strategies for environmental education, citizenship and sustainability. Learning for a Sustainable Future: http://lsf-lst.ca/dots (Accessed 26 November 2015)

[v] Wildlife and Environmental Society of South Africa and World Wildlife Fund, 2013. The WESSA/WWF Eco-Schools programme South Africa handbook. Wildlife and Environmental Society of South Africa.

გამოქვეყნებულია 2016 წელს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ
მისამართი: 7, place de Fontenoy, 75352 Paris 07 SP, France (საფრანგეთი, პარიზი)
© UNESCO 2016
ISBN 978-92-3-100193-2

წინამდებარე პუბლიკაცია ხელმისაწვდომია თავისუფალი წვდომის რეჟიმში „Attribution-ShareAlike 3.0 IGO (CC-BY-SA 3.0 IGO)“ ლიცენზიის პირობების შესაბამისად (http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/igo/). წინამდებარე პუბლიკაციის გამოყენებისას, მომხმარებელი თანხმდება გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) თავისუფალი წვდომის შესაბამის პირობებს (http://www.unesco.org/open-access/terms-use-ccbysa-en).
წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალები და მოცემული მითითებები არ გულისხმობს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მხრიდან რაიმე სახის მოსაზრების გამოხატვას ამა თუ იმ ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის ან მათი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, ან მათი საზღვრების დადგენის შესახებ.
წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნის მის ავტორებს და არ არის აუცილებელი გამოხატავდეს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მოსაზრებებსა და შეხედულებებს, შესაბამისად, მათზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას (UNESCO).
დიზაინი და ბეჭდვა - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)
ყდის დიზაინი: Thor Jorgen Udvang/Shutterstock.com
ფოტოების ავტორი: p.10: Ilike/Shutterstock.comp.14: Robert Kneschke/Shutterstock.comp.17: Les Cayes, Haiti by Chris Dennis is licensed under CC BY NC SA 2.0 on 350.org Flickr account (https://www.flickr.com/photos/350org/)
დაბეჭდილია საფრანგეთში

მზადება კლიმატის ცვლილებისათვის

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

სახელმძღვანელო სკოლებისთვის

გსურთ შექმნათ უფრო ჯანმრთელი, სამართლიანი და ეკოლოგიურად უფრო მდგრადი საზოგადოება? გსურთ შეუქმნათ ბავშვებსა და ახალგაზრდებს მსგავსი საზოგადოების შენების შესაძლებლობა? გსურთ თქვენი სკოლა ბუნების მეგობარი გახდეს? თუ ამ კითხვებზე თქვენი პასუხი დადებითია, მაშინ წინამდებარე სახელმძღვანელო თქვენთვის არის განკუთვნილი!

წინამდებარე სახელმძღვანელო და მასში მოყვანილი მაგალითები ეფუძნება კვლევას, რომელიც მოიცავს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების მიმართულებით 12 ქვეყნის 55 სკოლის მონაწილეობით გახორციელებულ პროექტებს. აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ყველა სკოლა წარმოადგენს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) წევრს. დამატებით, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილია რეცენზირებად ჟურნალებში, სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული, ეროვნულ თუ საერთაშორისო გაიდლაინებსა და ჩარჩო დოკუმენტებში შესული და პროგრამათა ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მაგალითები და კვლევების შედეგები.

9 789231 001932

4 QUALITY EDUCATION

Sustainable Development Goals